„ეკოტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში“

სანდრო გოგოლაძე

ელ-ფოსტა: sandro.gogoladze467@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179 თბილისი

თანამედროვე მსოფლიოში ტურისტული ინდუსტრია ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია. ტურიზმი არაერთი ქვეყნის ეკონომიკის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. დღესდღეობით, მსოფლიო ტურიზმის გლობალური ტენდენციები გულისხმობს, ძირითადად, ტურიზმის ისეთი სახეობების განვითარებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება მდგრადი განვითარების პრინციპებზე და ასევე ბუნების წიაღში, ანუ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენებაზე.

აქედან გამომდინარე, ტურიზმის მრავალი სახეობიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ეკოტურიზმი, რომელიც მზარდი სტატისტიკური მაჩვენებლებით ხასიათდება.

ეკოტურიზმი არის მოგზაურობის ტიპი, რომელსაც სარგებელი მოაქვს გარემოსთვის და ადამიანებისთვის. ის იმთავითვე გამორიცხავს რაიმე სახის უხეშ ჩარევას ბუნებაში. ტურიზმის ეს სახეობა, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ბუნების შენარჩუნებისკენ.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ ეკოტურიზმი აღიარა, როგორც საკვანძო მიმართულება სიღარიბის დაძლევასთან ეფექტური ბრძოლისთვის, გარემოს დაცვისა და კონსერვაციისთვის, ასევე მდგრადი განვითარების პოპულარიზაციისთვის.

საქართველოს, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ გამორჩეულ ქვეყანას, ბუნებრივი, ლანდშაფტური და ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით, უდიდესი პოტენციალი გააჩნია ეკოტურიზმი გადააქციოს ტურისტული ინდუსტრიის წამყვან დარგად. საქართველოში ეკოტურიზმის განვითარება, ძირითადად, დაცულ ტერიტორიებზე მოგზაურობასთან არის დაკავშირებული, რაც აღნიშნულ ტერიტორიებზე ტურისტთა ყოველწლიურად მზარდი ნაკადებით დასტურდება.

წინამდებარე ნაშრომი აღწერს ეკოტურიზმის არსს, მის მოკლე ისტორიას, სახეობებსა და არსებულ მდგომარეობას როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს მასშტაბით. ნაშრომის მიზანია საქართველოში ეკოტურიზმის პოტენციალისა და მისი ძირითადი გამოწვევების კვლევა. აღნიშნული საკითხის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან იგი ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივებით ხასიათდება.